სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 752

(კლასიფიკატორის კოდი **22310000**)

ქ. თბილისი 24. 12. 2013 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები და რეკვიზიტები**

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ს/ნ 203860642

მიმწოდებელი:
შპს „ბარტონი"
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №43
სს "საქართველოს ბანკი" ს/ნ 205032141
კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE80BG0000000117795200

2. **ხელშეკრულების ობიექტი და ფასები**

2.1 ხელშეკრულების ობიექტია საქართველოს მოსამართლეთა XII კონფერენციისათვის ღია ბარათების სახელმწიფო შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა: ღია ბარათი ზომით 10X20; შინდისფერი ტილოს ქაღალდი 300გრ. მ²; რაოდენობა - 250 ცალი.

2.3 ერთი ცალი ღია ბარათის ღირებულებაა - 54 თეთრი.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **135** (ასოცდათხუთმეტი) **ლარს,** მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის ჩათვლით.

4. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი არაუგვიანეს 2013 წლის 27 დეკემბრისა.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32.

6. **ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - ვლადიმერ მიროტაძე.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ზვიად ერქომაიშვილი.

7. **ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7.5 დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

8. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

9.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

10.3 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

10.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს, რომლის გადახდა მოხდება დამრღვევი მხარის მიერ ამ თანხის გადახდის შესახებ მეორე მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

10.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 მუხლში აღნიშნული პირი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული შესყიდვის ობიექტისა და წუნდების მიზეზების შესახებ.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. გადასახადები და ბაჟები

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი – შემსყიდველთან) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თავმჯდომარე	დირექტორი
დიმიტრი გეგელია	ნიკოლოზ ბურჯანაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემო ხელმომწერნი, ვადასტურებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საქართველოს მოსამართლეთა XII კონფერენციისათვის ღია ბარათების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

(სახელი, გვარი)	*(ხელმოწერა)*
ნიკოლოზ ქართველიშვილი	ნ. ქართ[illegible]
მადონა ბერიაშვილი	მ. [illegible]